საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 20 0001054528

30/10/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.10.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი
სხდომის მდივანი: თამარ ტუფინაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული-** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სხდომის მდივანი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
7. **ირმა წერეთელი-** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
10. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
11. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
14. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
15. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გია კავთელიშვილი	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	რექტორი	I
2	ანა ფირცხალაშვილი	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ვიცე-რექტორი კვლევების მიმართულებით	I
3	გიორგი ღავთაძე	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით	I
4	გოდერძი ბუჩაშვილი	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ვიცე-რექტორი ადმისნიტრაციული მიმართულებით	I
5	ნონა ზუმბაძე	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
6	ვალერი მოსიაშვილი	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
7	ანი ქვათაძე	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I
8	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	II, III, IV
9	ქეთევან გივიშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	II, III, IV
10	მალხაზ ბეგიაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სამართლის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი	II, III, IV
11	ლალი ლაზარაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III, IV
12	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	სოფიო ხუნდაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
2	გიორგი მახარობლიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	II, III, IV
3	ინგა დიაკონიძე	ჩაერთო „ზუმით“	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული საკითხი);
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა ((სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული საკითხი);
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ანგლისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობები არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა აღნიშნული დღის წესრიგი

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული საკითხი)

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N27, 25.02.2015
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბანკო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საბანკო საქმის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა 0412
12	კვალიფიკაციის კოდი	0412
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N9, თბილისი, 0144 საქართველო
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, ასევე სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 5 ოქტომბრის №940852 გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ასევე შესაბამის დოკუმენტაციას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, სოფიო ხუნდაძემ წაიკითხა „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის შემუშვებისა და განვითარების პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართულობა;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების განაწილება და სასწავლო კურსებს განესაზღვროს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო საათების და შესაბამისად კრედიტების უფრო ლოგიკური მოცულობა;
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ მეტ დროს უთმობდეს კვლევის რაოდენობრივი მეთოდების შესწავლას, ასევე, მონაცემთა დამუშევისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას (მაგ. SPSS, STATA), ან აღნიშნული მიზნებისთვის შესაძლებელია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემს რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკურად დამუშვებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს;
- რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც გაიწერება კომპონენტით მისაღწევისწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ იქნას პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსი, რომელიც განსაზღვრავს კომპონენტით მისაღწევ სწავლის შედეგებს ისე, რომ მეტად შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
- რეკომენდებულია, ხელმძღვანელების მხრიდან უზრუნველყოფილ იყოს სტუდენტებთან ინტენსიური მუშაობა რათა სტუდენტების მიერ სრულად იყოს დაცული ნაშრომების შესრულების წესები;
- აკადემიურმა პერსონალმა მეტად უნდა იაქტიუროს რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით;
- რეკომენდებულია, მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შეფასებების, გამოკითხვების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების სისტემატიზაცია პროგრამების მიხედვით; ასევე, გადამოწმდეს პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდგომი ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის დადგენის სამიზნე ნიშნულები.
2. სასურველია დასაქმებული სტუდენტი, რომელიც ადასტურებს პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების ფლობას, თავისუფლდებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგან ისე, რომ სანაცვლოდ უნივერსიტეტი სთავაზობდეს სხვა კომპონენტისა თუ სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას;
3. სასურველის დამსაქმებლებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებდეს პრაქტიკის ობიექტზე გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობას.
4. სასურველია დაიგეგმოს აქტივობები საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით;

5. სასურველია გაიზარდოს პროგრამის განვითარების ბიუჯეტი, კერძოდ, გამოიყოს მეტი თანხები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გადაუდებელი ღონისძიებებისთვის
6. სასურველიაკვლევების/გამოკითხვების/ თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გაიწეროს კონკრეტული სამოქმედო გეგმები. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სამაგისტრო პროგრამის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ –ანგარიშგების გაუმჯობესებას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების/ რეაგირების შედარების გზით;
7. სასურველიაგარეექსპერტ-შემფასებლების რეგულარული მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მისი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით;

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნა არ იყო ცუდი შეფასების, რადგან სტადარტები მეტწილად და სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს. მან ასევე განმარტა ისიც, რომ საბჭო არ დაეთანხმა მეორე სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნული სტანდარტი ჩამოიწია შეუსაბამობამდე. მისივე თქმით, სწორედ ამ მიზეზით იქნა მიღებული მოცემული გადაწყვეტილება. რაც შეეხება მეორე სტანდარტს, ის არეგულირებს პროგრამის სტრუქტურას, შინაარსსა და კვალიფიკაციასთან შესაბამისობას. ექსპერტის თქმით, პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს საკმაოდ ვიწრო კვალიფიკაციას და საბანკო საქმესთან დაკავშირებული თემები პროგრამაში ამომწურავადაა წარმოდგენილი, თუმცა საბჭომ დასაქმების თვალსაზრისით, მოითხოვა უფრო ფართო ცოდნის შეძენის შესაძლებლობა პროგრამის კურსდამთავრებულთათვის. ასევე ისაუბრა კონკრეტულ თემატიკაზე, რომელიც რეკომენდაციაში იქნა ჩამატებული, ეს ეხებოდა პროგრამაში შეთავაზებულ „ბიზნესის შეფასებას“, „ფასიანი ქაღალდების შეფასებასა“ და „შეფასებებთან დაკავშირებულ საკითხებს“. ექსპერტის მოსაზრებით, პროგრამა არ დაზიანდება იმით, თუ ეს თემატიკა იქნება დამატებული. ის ასევე მიიჩნევს, რომ ბიზნესის შეფასებასთან დაკავშირებით, საბჭოს მოთხოვნა შესაძლოა ყოფილიყო ლოგიკური, თუმცა მისი თქმით ეს ნამდვილად არ აწყენდა პროგრამას და არც იმ კვალიფიკაციას, რომლის მიღებასაც სტუდენტები მოახერხებდნენ. საბოლოო დასკვნის სახით კი აღნიშნა, რომ ამით ის შეუსაბამობამდე არ ჩამოაგდებდა მეორე სტანდარტს კონკრეტულად ამ რეკომენდაციის გამო.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაეთანხმა ექსპერტის მოსაზრებას. მან საუბრის დასაწყისში აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაციები არ იყო მეორე სტანდარტის შეუსაბამობაში გადატანის მიზეზი. პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებით, პროგრამა არის საბანკო საქმის ვიწრო სპეციალობის და აღნიშნულმა სამაგისტრო პროგრამამ უნდა მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა სტუდენტს. მათ აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად შეეცადნენ, გაეზარდათ დარგის ისეთი სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილი იქნებოდნენ საბანკო საქმის მაქსიმალური ცოდნით. მან განმარტა, რომ საბანკო საქმის პროგრამაში არის ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც იძლევა საშუალებას, სრულფასოვნად შეაფასონ ბანკის კლიენტურა ისეთი სასწავლო კურსების მეშვეობით, როგორებიცაა „მენეჯერული ეკონომიკა“, „ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი“, „ინვესტიციები და საინვესტიციო პროექტები“. პროგრამის ხელმძღვანელი იზიარებს იმ აზრს, რომ პროგრამა არ არის იდეალური თუმცა თანამშრომლობით აქვს სურვილი გაზარდოს მაღალკვალიფიციური კადრები.
საბჭოს წევრის გიორგი თურქიას აზრით, პრობლემა არის ის, რომ რაოდენობრივი კვლევა სათანადოდ არ არის წარმოდგენილი. მისი აზრით, საჭიროა, სასწავლო პროცესში იყოს პროფესიული სოფტები ან ექსელის გაძლიერებული სწავლება, რომლის საშუალებითაც კურსდამთავრებული სტუდენტები შეძლებენ კონკრეტული სამუშაოების შესრულებას, როგორიცაა: სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, ანალიზის ჩატარება თუ სხვა.
მისი თქმით, კურსდამთავრებულებს მოუწევთ სხვადასხვა დონის საფინანსო ინსტიტუტებში, როგორც კომერციულ ბანკებში, ისე საკრედიტო თუ მიკროსაფინანსო დაწესებულებებში

მუშაობა, სადაც უნდა გასცენ კრედიტები, რაც, მისი თქმით, არის საბანკო საქმის ძირითადი პროცესი. მან ასევე განმარტა, რომ საჭიროა ისეთი საკითხების გაძლიერება, როგორიცაა დერივატივები და ფასიანი ქაღალდები. პროგრამაში ეს საკითხები არის წარმოდგენილი, თუმცა ფრაგმენტულად და რადგან მისი განმარტებით, ეს არის ვიწრო სპეციალობის მიმართულება, უნდა იყოს მეტად სიღრმისეულად, რომ შემდეგ ადამიანმა მარტივად შეძლოს ამ ცოდნაზე დაყრდნობით მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილებები. გიორგი თურქიამ, ასევე განმარტა რომ პრაქტიკული საგნების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული სპეციალობის სპეციფიკა. მან ასევე ისაუბრა უნივერსიტეტში არსებული არჩევითი საგნის „ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი“ შესახებ, რომელიც განიხილავს საქართველოში ერთ-ერთი კომპანიის - სოკარის შესახებ ინფორმაციას. მისი აზრით, ბანკებში უფრო განსხვავებული სისტემებია ვიდრე სოკარში და სწორედ ამ მიზეზით, ურჩია დაწესებულებას, საგნისთვის დაერქმიათ კონკრეტულად განსაზღვრული სახელი და არა „ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი“. მისი თქმით, არ შეიძლება სილაბუსი სხვადასხვა პროგრამაზე ერთი და იგივე სახით იყოს წარმოდგენილი, არამედ ეს უნდა იყოს მორგებული შესაბამის სპეციფიკაზე. საბოლოო დასკვნის სახით, მან თქვა, რომ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ გაჩნდეს მკაფიო განსხვავება საბანკოსა და მენეჯმენტის მიმართულებებს შორის.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არის რისკების მენეჯმენტი, როგორც სასწავლო კურსი, ხოლო საბანკო სფეროში რისკების მართვის განყოფილება მისი თქმით არის ნამდვილად წამყვანი. რაც შეეხება სილაბუსს, 8,9,10,11 ეხება კრედიტუნარიანობის შეფასებას როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების. მისი განმარტებით, სტუდენტებს უნივერსიტეტი აძლევს შესაძლებლობას ფასიანი ქაღალდები მენეჯერულ ეკონომიკასთან ერთად მოისმინონ ინგლისურ ენაზეც. რაც შეეხება ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, მისი თქმით ეს შესაძლოა არ იყოს საბანკო სფერო თუმცა, საგანი არის არჩევითი და მიიჩნევს რომ ეს არანაირად არ დააზარალებს სტუდენტს. პროგრამის ხელმძღვანელმა, დაამატა ისიც, რომ ამ სასწავლო კურსზე დაყრდნობით კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას, კარგად შეასრულონ სამაგისტრო ნაშრომი, ხოლო რაც შეეხება STATA-ს და SPSS-ს, მისი აზრით STATA უფრო ეკონომიკის პროგრამებისთვის შესაძლოა იყოს გამოყენებული, ხოლო SPSS არჩევითი საგანია, ამიტომ მისი თქმით სტუდენტს ცოდნის გაღრმავება თავისუფლად შეუძლია. შეჯამების სახით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები კვლევითი უნარების დეფიციტს ვერ განიცდიან.

საბჭოს წევრის, პაატა ბრეკაშვილის აზრით, საგანი კვლევის მეთოდები, როგორც ხელსაწყო, რომ სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს კვლევის განხორციელება ისევე როგორც სამაგისტრო ნაშრომის დაწერა, არადამაჯერებელია. მისივე თქმით, არის საგანთა გარკვეული ნაწილი, რომელიც სამაგისტრო დონის კვალიფიკაციას სამწუხაროდ ვერ იძლევა.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ხათუნა მარწყვიშვილის აკადემიური წერისთვის მოსამზადებელი სახელმძღვანელო, რაც, მისი აზრით, ვერ აკმაყოფილებს თარგმნის ათვისების საშუალებს. ასევე დაამატა ისიც, რომ მოლაპარაკებები საერთოდ არ იყო ზემოთ ხსენებული წიგნის შინაარსში. მან ასევე აღნიშნა ისიც, რომ წარმოდგენელია ერთი სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც არის სხვა საგნისთვის განკუთვნილი, მათ შორის სხვა საფეხურისთვის და არ შეესაბამება სამაგისტრო დონეს. სპეციალობის ძირითადი სავალდებულო კურსებიდან 13 კურსია მითითებული, აქედან მხოლოდ 2-3 აფილირებული პროფესორი კითხულობს ლექციებს, ხოლო დანარჩენი მოწვეული ლექტორები არიან. მისი მხრიდან დაისვა შეკითხვა თუ რამდენად მოქმედებს ან საერთოდ მოქმედებს თუ არა პროგრამის მდგრადობაზე ეს კონკრეტული საკითხი.

უნივერსიტეტის წარმომადგენლი გამოეხმაურა ნინო დობორჯგინიძეს და აღნიშნა, რომ 13-დან 7 არის აკადემიური პერსონალი და რომ თვითშეფასებაში წარმოდგენილი აქვთ, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 4 იყო პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი და 4 ასისტენტ

პროფესორი, რომლებიც მისი თქმით, არიან როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებზე. სულ ჯამში არის ოცდაორი აკადემიური პერსონალი, თექვსმეტი არის აკადემიურ თანამდებობაზე, 6 კი გახლავთ მოწვეული ლექტორი.
კვლევით მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით პაატა ბრეკაშვილმა გამოთქვა თავისი მოსაზრება და აღნიშნა, რომ ეს არის მთავარი აქილევსის ქუსლი. მისი თქმით, არსებულ სფეროში არსებობს თავისი სპეციფიკა. აღნიშნული კურსის მიზანი კი არის ის, რომ სტუდენტს ჰქონდეს ღრმა და სისტემური ცოდნა, უნივერსიტეტმა მას უნდა მისცეს კვლევის დიაგნოსტიკისა და მოდელირების უნარ-ჩვევები. არსებული სილაბუსის გავლის შემდეგ მაგისტრანტი კვლევის ჩატარებას ვერ შეძლებს, იმიტომ რომ მას ეს ხელსაწყო არ აქვს. კორელაციური ანალიზით კი მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომს კი არა ელემენტალურ კვლევასაც ვერ ჩაატარებს.
უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, საგნის გაძლიერებისთვის უნივერსიტეტი მზაობას აცხადებს.
ნინო დობორჯგინიძემ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, საინფორმაციო სისტემების მართვის სილაბუსის შესახებ, სადაც აღნიშნა რომ მითითებული იყო ძირითად ლიტერატურად ერთი ავტორის, თამარ ჩიქავას წიგნი, რომელიც ვერ მოიძია და დაინტერესდა, რამდენად საკმარისი იყო ერთი სახელმძღვანელო? მან ისაუბრა რაოდენობრივი კვლევის მეთოდებზე და აღნიშნა რომ რჩება თავის აზრზე და მისი აზრით ეს სილაბუსი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიღწევას. დაწესებულების არგუმენტს, იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საგანი არის წარმოდგენილი არჩევით საგნად, არ იზიარებს, თუმცა რადგან მზაობას აცხადებს უნივერსიტეტი, ამ მიზეზით მათ არ ჩათვალეს შეუსაბამობად.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა კვლევების მიმართულებით, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით, საჭიროა მაგისტრატურის საფეხურზე დაავიწროვონ ცოდნა და ისეთი განათლება მისცენ თავიანთ სტუდენტებს, რაც კონკრეტულად გამოადგებათ. მისი განმარტებით, ეს რეგულირებადი პროფესია არაა, როგორც სამართალი, ამიტომ უნივერსიტეტებს აქვთ აკადემიური თავისუფლება არა მხოლოდ კონსტიტუციის დონეზე გარანტირებული, არამედ ცხოვრებაში გარანტირებული. მისი თქმით, არ არის სავალდებულო რომ სტანდარტული კურსები იქნას შეთავაზებული ისე, როგორც დარგობრივი პროფესიების მიმართულებით. კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით კი, თანახმაა გაითვალისწინოს საბჭოს მიერ გამოთქმული ყველა მოსაზრება.
უნივერსიტეტის წარმომადგენელის თქმით რჩევები და რეკომენდაციები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული, იმდენად, რამდენადაც მიეცემათ ამის საშუალება. მისი თქმით ეს შესაძლებლობა უნივერსიტეტს უნდა მიეცეს რადგან უნივერსიტეტი მზადყოფნას აცხადებს.

სხომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:54
დასრულების დრო: 17:15

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭო არ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭომ მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტის შეფასება, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია, გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართულობა;
ბ) პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“, მეტ დროს უთმობდეს კვლევის რაოდენობრივი მეთოდების შესწავლას, ასევე, მონაცემთა დამუშავებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას. კურიკულუმში განისაზღვროს სტატისტიკისა და გადაწყვეტილების ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფის (Analytics Software Solutions) საკითხების სწავლება და გამოყენება;
გ) სტუდენტთა მიერ შესრულებული ნაშრომები შეფასდეს მარეგულირებელი წესით განსაზღვრული ნაშრომის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაცვით;
დ) რეკომენდებულია, განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შეფასების, გამოკითხვების, ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების სისტემატიზაცია პროგრამების მიხედვით. ასევე, გადამოწმდეს პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდგომი ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით;
ე) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: ფინანსური ანგარიშგებები, „რიპორტინგი“, IFRS, შეფასების მეთოდები (Value Chain), ტექნიკური და ფუნდამენტური ანალიზი, დერივატივებიმ ოფციონები, ინვესტიციების მართვა, მონაცემთა ანალიზი;
ვ) კურიკულუმში წარომდგენილ სასწავლო კურსში „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“, მოხდეს შინაარსის გადახედვა, გარდა ამისა, იგივე საგანი იგივე შინაარსით და ლიტერატურით, გვხვდება ბაკალავრიატის საფეხურზე. ამ და საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრული სხვა სასწავლო კურსების განხილვის შედეგად, გამოიკვეთა სამაგისტრო საფეხურის მიზნებიდან გამომდინარე კურიკულუმის სტრუქტურის გადახედვა. სასწავლო კურსებისა და მისაღწევი სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის დადგენა. მნიშვნელოვანია, სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ურთიერთკავშირი და საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება, კერძოდ, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ფორმირება.
ზ)საგანმანათლებო პროგრამის კომპონენტებში გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები გადაიხედოს და განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

რჩევები:

ა) განხორციელდეს სასწავლო კურსებოს დატვირთვის (კრედიტის რაოდენობა), საათობრივი განაწილების - საკონტაქტოსა და დამოუკიდებელ საათებს შორის, ასევე საკონტაქტო საათების დროს სტუდენტთა სასწავლო დატვირთვის რევიზია.
ბ) აკადემიურ პერსონალს ხელი უნდა შეეწყოს და თავადაც მეტად უნდა იაქტიურონ რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით.

პირველი საკითხის კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის შესახებ
პირობითი აკრედიტაციის შესახებ

- აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს გადაწყვეტილებით აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 24 მარტის N48 გადაწყვეტილება რჩება უცვლელი, კერძოდ:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე, ირაკლი ბურდული. შესაბამისად, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე.
საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა დიმიტრი გეგენავამ, გიორგი თურქიამ და ნიკა თიკანაშვილმა. აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა თამარ ტუფინაშვილს

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული საკითხი)

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N303, 24.12.2014 N62, 30.03.2020 (პირობითი აკრედიტაცია)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77ა, თბილისი, 0171, საქართველო
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, ასევე სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 6 ოქტომბრის №950168 გადაწყვეტილებასა და 05 ოქტომბრის №941270 სხდომის ოქმს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ასევე შესაბამის დოკუმენტაციას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა მოხსენება დაიწყო რეკომენდაციების ჩამოთვლით:
1. სასურველია, წარმოდგენილ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, საიდანაც გამოიკვეთებოდა მათი ურთიერთმიმართება. აღნიშნული აუცილებელია პროგრამის მიზნების მიღწევადობისა და რეალისტურობის შესაფასებლად.
2. სასურველია, წარმოდგენილ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.
3. პროგრამის სწავლის შედეგები ექვსდონიან დაყოფას უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დონეთა კატეგორიაში დაყოფა ანდა პირიქით - სილაბუსის

სწავლის შედეგის სამდონიან დაყოფასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის სწავლის ექვსდონიან დაყოფა.
4. სასურველია, განსაზღვრულ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და ასევე, პროგრამის სამიზნე ნიშნულის მიღწევის მონიტორინგის ვადები(გეგმა)
5. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ოთხდონიანი ციკლის ცირკულარი თვითშეფასების ანგარიშში ყოფილიყო ახსნილი და წარმოდგენილი, რამდენადაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა სწორედ პროცესის დაგეგმვის, შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზისა და განვითარების კუთხით მიემართება;
6. სასურველია, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი სუსტი მხარეებს აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები იქნეს წარმოდგენილი, მათ შორის, ასახულ იქნეს თვითშეფასების ანგარიშში.
7. სასურველია, წარმოდგენილ იქნეს კურსდამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
8. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია პერიოდულად მოხდეს მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, მონაცემების ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამის განვითარების მიზნით. აღნიშნული შედარებითი ანალიზი და ანალიზის შედეგები, სასურველია, წარმოდგენილი ყოფილიყო
9. აუცილებელია, განხორციელდეს სილაბუსების გადახედვა, დაემატოს ან განახლდეს ლიტერატურა
10. მიზანშეწონილია, „პროგრამის“ სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნას იმგვარად, რომ გარკვეულ საგნებთან მიმართებით სამართლოს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე „პროგრამამ“ განსაზღვროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევითობის მოდელი, რაც უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობის კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილებას და შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს, თავად განსაზღვრონ საკუთარი სასწავლო პროფილი.
პროგრამის ხელმძღვანელი, მალხაზ ბეგიაშვილი გამოეხმაურა პირველ რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის მიხედვით, მისი მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც მოიცავს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო უნარების განვითარებას, კერძოდ, მისი თქმით, კურსდამთავრებულს ეცოდინება სამეცნიერო კვლევის განხორციელების მეთოდოლოგია და მის საფუძველზე შეძლებს კვლევის დამოუკიდებლად წარმოებას, რითიც ხელს შეუწყობს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის დანერგვას და სამართლის დარგის მეცნიერულ განვითარებას. მან ასევე ისაუბრა ერთ-ერთი სახელმძღვანელოს შესახებ და აღნიშნა რომ ამ სტანდარტთან მიმართებით არაფერია საჭირო, გარდა იმისა რაც პროგრამის მიზნებშია წარმოდგენილი. ასევე მან განმარტა, რომ არც სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა არ არის საჭირო. რუკა, მისი მოსაზრებით, შესაძლოა საჭირო ყოფილიყო ეთიკურ სტანდარტთან, რომელიც ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს და სწორედ მეტი თვალსაჩინოებისათვის მისი აზრით, რუკა კარგად გამოხატავს მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართებას. მისივე თქმით, უნივერსიტეტს კომპეტენციების მატრიცა ყოველთვის ჰქონდა, რასაც ექპერტთა დასკვნაც ადასტურებს, თუმცა მისი აზრით, უკეთესია ცალკე რუკა არსებობდეს, სწორედ ამიტომ გაკეთდა რუკა და შესთავაზა კიდეც საბჭოს წევრებს მისი მიმოხილვა.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, მისი აზრით სააკრედიტაციო განაცხადის შეტანისას უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებული იყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამის შემდეგ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ განათლების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანებით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები მოდიფიცირდა დადგენილ ვადაში და გადაეწყო სწავლის

შედეგების სამდონიან დაყოფაზე, შესაბამისად ამ რეკომენდაციამ მისი აზრით აქტუალობა დაკარგა.
მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მალხაზ ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა დადგენილია უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციით, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შედეგების, როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასებას. ინსტრუქციის თანახმად პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასება, რომელიც გულისხმობს სტუდენტისა და დაინტერესებული პირების დამოკიდებულებას სწავლის შედეგებთან მიმართებაში სასწავლო პროცესებისა, ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, უკეთესია პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმი აღწერილი იყოს სწავლის შეფასების შედეგების გეგმაში, თუმცა, მათ ეს აღწერილი აქვთ ინსტრუქციაში. პროგრამის დახვეწა-განვითარება უნივერსიტეტის პირველი რიგის გამოწვევას წარმოადგენს მათთვის, ამიტომ განიხილავენ ამ გეგმის ცალკე ჩამოყალიბების შესაძლებლობასაც.
მეოთხე რეკომენდაციის შესახებ, მალხაზ ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნას იმგვარად, რომ გარკვეულ საგნებთან მიმართებით სამართლის სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამამ განსაზღვროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევითობის მოდელი, რაც უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობის კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილებას და შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს, თავად განსაზღვრონ საკუთარი სასწავლო პროფილი. მისივე თქმით, პროგრამის მიზანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაა, რაც მოიცავს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო უნარების განვითარებას, მათ მიაჩნიათ რომ დოქტორანტს აუცილებელია გამოუმუშავდეს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის გამოყენების უნარი, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად აწარმოონ კვლევა სამართლის მიმართულებით. არჩევით საგნად განისაზღვრა მეცნიერების ფილოსოფია, ისევე როგორ აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციები.
მეხუთე რეკომენდაცია, რომელიც მალხაზ ბეგიაშვილის თქმით, ეხებოდა სილაბუსების გადახედვას და ლიტერატურის დამატებას, გათვალისწინებულია და საგნის კურატორებმა განაახლეს ლიტერატურა.
შემდეგი რეკომენდაცია, სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ოთხდონიანი ციკლის ცირკულარი თვითშეფასების ანგარიშში ყოფილიყო ახსნილი და წარმოდგენილი, რამდენადაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა სწორედ პროცესის დაგეგმვის, შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზისა და განვითარების კუთხით მიემართება, მისი თქმით უნივერსიტეტში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აღწერს ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, რომელიც საჯარო დოკუმენტია.
რაც შეეხება მეშვიდე რეკომენდაციას, მისი თქმით, თვითშეფასების და ანგარიშის შესაბამის სექციაში დამატებით აღნიშნულია გამოწვევები, რომელიც წარმოადგენს სამართლის სკოლის უნივერსიტეტის მიზანს და რომლებიც განხილული იქნა ექსპერტებთან ინტერვიუების დროს. აკრედიტაციის პროცედურის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილებები თვითშეფასებაში.
მერვე რეკომენდაცია, სასურველია, წარმოდგენილ იქნეს კურსდამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ამასთან დაკავშირებით მალხაზ ბეგიაშვილმა თქვა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ფორმა, რომელიც წარმოადგენს ხარისხის სრულყოფის ინსტრუქციის დანართს.
მეცხრე რეკომენდაცია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია პერიოდულად მოხდეს მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, მონაცემების ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამის განვითარების მიზნით. აღნიშნული შედარებითი

ანალიზი და ანალიზის შედეგები, სასურველია, წარმოდგენილი ყოფილიყო. მალხაზ ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ დადარება მოხდა როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ სამართლის სკოლების სადოქტორო პროგრამებთან, ასევე ქვეყნის გარეთ, მაგალითად საფრანგეთის, კონკრეტულად სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამასთან.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ლალი ლაზარაშვილმა დაამატა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული აკრედიტაციის დებულების მესამე დანართის 1.1-სტანდარტი ინდიკატორების ნაწილში საერთოდ არ მოითხოვს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის არსებობას და ამ ნაწილში ექპერტების მოსაზრება სრულიად არასწორია. მან ასევე ვრცლად ისაუბრა მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.
მისი თქმით ექსპერტებს არ გამოუკვეთიათ არცერთი კონკრეტული შედეგი, რომელიც არ შეესაბამება პროგრამის მიზანს. მისი აზრით ექპერტების მოსაზრება, რომ შედეგები არარელევანტურია მიზნებისა, არ უნდა იქნეს გაზიარებული საბჭოს მიერ. მან ასევე აღნიშნა რომ მათ წარმოდგენილი აქვთ რუკის ჩამნაცვლებელი დოკუმენტი, რაც გახლავთ მატრიცა, საუბარია მხოლოდ ფორმაზე, ხოლო შინაარსი მისი თქმით, იგივეა და ფაქტობრივად, ეს მოთხოვნა შესრულებულია, მაგრამ თუ საბჭო ჩათვლის რომ რუკის ნაწილში არ არის ეს მოთხოვნა შესრულებული, მოგვიწოდებს, ჩავიხედოთ აკრედიტაციის დებულების 26 პრიმა მუხლის მე-2 პუნქტში, ამ შემთხვევაში შეფასებასთან დაკავშირებით, როდესაც რაიმე ხარვეზია უნდა იქნეს გათვალისწინებული თუ რა ვადაში შეიძლება ქონდეს რეალისტურად უნივერსიტეტს მზაობა იმისა, რომ აღმოფხვრას ეს ხარვეზი და თუ კი ეს წელიწადზე ნაკლებია მაშინ უნდა შეფასდეს მეტწილად შესაბამისობით. მისი თქმით, ხარვეზი გამოსწორებულია და არსებობს მაღალი შეფასების მიღების საფუძველი.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ქეთევან გივიშვილმა ისაუბრა, თუ როგორ აღწევს ეს პროგრამა თავის მიზნებს. მისი თქმით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამას ჰყავს 2 კურსდამთავრებული, პროგრამის მიზანი კი არის მოამზადოს მაღალკვალიფიციური სტუდენტები, რომლებიც შეძლებენ სამართლის მიმართულებით კვლევას და პედაგოგიური საქმიანობის წარმართვას. ზემოხსენებული ორივე კურსდამთავრებული ეწევა პედაგოგიურ საქმიანობასაც და კვლევით საქმიანობასაც. მათ შორის, ორივე მათგანი დასაქმებულია საქართველოს უნივერსიტეტში აკადემიურ პერსონალად, ხოლო ერთ-ერთი მათგანმა კვლევითი ინსტიტუტის დაფინანსებით დაასრულა კვლევა სადისერტაციო ნაშრომზე რელიგიის სამართალში. მისი აზრით, ეს არის ნათელი მაგალითი თუ როგორ მოხდა მიზნების პროგრამის რეალიზება .
მალხაზ ბეგიაშვილმა დაამატა, რომ თავად ექსპერტების დასკვნაში არსად წერია, მიზანთან არსებულ რაიმე სახის პრობლემა და აღნიშნა ისიც, რომ მთელი დასკვნის შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ მიზნები არის საკმაოდ რეალისტური და შესრულებადი.
გიორგი მახარობლიშვილი გამოეხმაურა ლალი ლაზარაშვილს და აღნიშნა, რომ რუკა ფორმალური არ არის, ისევე როგორც უამრავი საკითხი, რომელიც აკრედიტაციის სტანდარტით არის პროგრამასთან დაკავშირებით მოთხოვნილი.
მისი აზრით, პირველი სტანდარტის მე-2 ქვეპუნქტში მიზნებისა და შედეგების რუკა მოთხოვნილია, რაც იმას ნიშნავს რომ პროგრამის ხელმძღვანელისგან და მისი ადმინისტრირების განმახორციელებელისგან უნდა ჩანდეს, რომელ მიზანს რომელ შედეგში ხედავს. მისი თქმით, ჩამოწერილი ლიტერატურა არ იყო საკმარისი და მეტიც, რუკის არსებობა, ისევე როგორც მიზნებისა და შედეგების რუკის არარსებობა პროგრამის მიზნებისა და შედეგების არარელევანტურობაზე არ გადის. ის, რომ ინტერვიურება მოხდა ორ კურსდამთავრებულთან, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ, არის ვიზიტის განხორციელების მხარე. მისივე თქმით, პირველი გამოკითხვის ფორმები უნდა იყოს წარმოდგენილი და გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტიც უნდა იყოს წარმოდგენილი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ ყოფილა. ექსპერტი აბსოლუტურად ეთანხმება,

რომ ფორმის მხრიდან მსჯელობა არაფრის მომცემია, ფორმის უკან დგას ეს შინაარსი მაგრამ, მისი თქმით, იმ კუთხით წარმოჩენა, რომ რუკის არარსებობაა მთავარი პრობლემა, მსგავსი რამ არ აღინიშნება.
ექსპერტის თქმით, მიზნებისა და შედეგების გააზრებით იწყება სრულიად პროგრამა, შესაბამისად სტანდარტების ციფრობრივი მიმართულება ერთიდან ხუთამდე მასზე არის აგებული. მიზნებისა და შედეგების რუკა ერთადერთი არ იყო, მას ასევე უკავშირდება სწავლის შედეგების რუკა და ის პერიოდულობა და ის მოცემულობა, რომლითაც საბოლოო ჯამში უნდა დაადგინოს პროგრამის ხელმძღვანელმა და ადმინისტრაციამ ის, თუ პროგრამა მის შედეგზე როგორ გადის .
მალხაზ ბეგიაშვილმა ისაუბრა იმაზეც რომ 1.1 სტანდარტთან მიმართებით სრულ შეფასებას იმსახურებდა, საბჭოზე კი პირიქით, საუარესოდ შეიცვალა, მეტწილიდან ნაწილობრივ შესაბამისობაზე გადაინაცვლა. საბოლოო ჯამში, ეს ფაქტი უქმნიდა საფრთხეს უნივერსიტეტს. აკრედიტაციის საბჭოს მიზანია, რომ უნივერსიტეტს დაეხმაროს და მისი თქმით, არაფერი ცუდი არ არის იმაში, რომ ეტაპობრივად განავითაროონ და იმუშაონ საბჭოს წევრებთან ერთად .
არჩილ ჯანგირაშვილის თქმით, რეალური საფუძველი პირობითი აკრედიტაციისა, ვერ მიიღო უშუალოდ გადაწყვეტილებიდან და განმარტა, რომ პირობითი აკრედიტაცია არ არის პანაცეა. მას ისევე გააჩნია იურიდიული ძალა, როგორც ჩვეულებრივ აკრედიტაციას, უბრალოდ ის პრობლემას ხედავს დროსთან მიმართებაში. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ვერ გაიგო, თუ რატომ მიიღო პროგრამამ პირობითი აკრედიტაცია. ასევე, ექპერტის მოსაზრებები წინააღმდეგობრივად მიაჩნია, რადგან ნახსენები ინდიკატორები არ არის იმპერატიული. იმპერატიული არის სტანდარტი და სტანდარტის განხორციელების კრიტერიუმი. ის, რომ სტანდარტი იძლევა ინდივიდუალურად პროგრამის შედგენის შესაძლებლობას, მართებულია. სტანდარტი იძლევა შესაძლებლობას რომ პროგრამა განისაზღვროს იმ მნიშვნელობებიდან და იმ შედეგებიდან გამომდინარე, რომელსაც უნივერსიტეტი დაისახავს მიზნად. ამ თვალსაზრისით, ჩამოყალიბებულია პროგრამის როგორც მიზნები, ისე - შედეგები. სტანდარტი მოთხოვს, რომ კომპეტენციები იყოს ჩამოყალიბებული და გაზომვადი. თუ მან ეს ყველაფერი გადმოსცა, მაშინ ის სტანდარტს უნივერსიტეტის მხრიდან დაკმაყოფილებულად მიიჩნევს. მან ასევე ისაუბრა მეხუთე სტანდარტთან დანახულ პრობლემაზეც, მისი თქმით, ის რასაც ისინი ბაკალავრებთან და მაგისტრებთან კითხვარებისა და სხვა ინსტრუმენტების შესაბამისად აკეთებენ, დოქტორანტებთან იგივეს ვერ გამოიყენებენ, იქიდან გამომდინარე რომ ბაკალავრიატში 400-500 სტუდენტთან, მარტივია მოახერხოს ინფორმაციის მოგროვება კონკრეტული მეთოდით თუმცა, როდესაც დოქტორანტურაზე არის 1 ან 2 სტუდენტი, შეუძლია მიმართოს თუნდაც სხვა, ალტერნატიულ გზასაც. მან ასევე აღნიშნა, რომ როდესაც სტუდენტი ირიცხება სადოქტორო პროგრამაზე ინიშნება საკონსულტაციო საბჭო, რომელიც კონკრეტულად ინიშნება ერთი სტუდენტისთვის. მისი თქმით, საკონსულტაციო საბჭოში შედის 3 ადამიანი და ის არამხოლოდ დისერტაციის საკითხებში ეხმარება პიროვნებას, არამედ იმაშიც, რომ პროგრამიდან გამომდინარე მოიძიოს ინფორმაცია დოქტორანტისგან. მისი აზრით, მთავარია სტანდარტი, რომელიც მოთხოვს შინაარსობრივ უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ მიღწეულია, რაც დადასტურებულია თვითშეფასების ანგარიშიდან გამომდინარე .
უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, სადოქტორო საფეხური საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურისგან ნამდვილად განსხვავდება, არგუმენტად კი მოიშველია ის ფაქტი, რომ აქ კვლევით კომპონენტს ეთმობა ორი წელი სამწლიანი სწავლებიდან. შედეგი მიღწეული არის თუ არა, ამის შეფასება მხოლოდ ერთხელ ხდება, კონკრეტულად დაცვის დროს. ასევე, პედაგოგიურ ნაწილში შენიშვნა არ ყოფილა, რაც დასაბუთებულია იმით, რომ რუკის არარსებობა ხელისშემშლელი ფაქტორი ნამდვილად არ ყოფილა, ხოლო პროფესიულ ნაწილზე საუბრისას ყურადღება გაამახვილა ლიტერატურაზე, რომელიც ექპერტთა თქმით იყო გასაახლებელი, თუმცა ამის არგუმენტად დაამატა ისიც, რომ საგნების ჩამონათვალი

ყოველთვის იცვლება და ეს ცვლილება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვინ იყო დოქტორანტი და რა თემაზე მუშაობდა იგი. მისი აზრით, აქ სტანდარტიზებულად მიდგომა არ შეიძლება, ისე როგორც მაგისტრატურაზე ან თუნდაც ბაკალავრიატში,
გიორგი მახარობლიშვილის აზრით, რუკა და მისი არარსებობა თავისთავად არ არის პანაცეა, უბრალოდ ამას მოყვება სხვადასხვა საკითხები, როგორიცაა თუნდაც სწავლის შედეგების შეფასება, რომელშიც რაღაც ნაწილში ეთანხმება არჩილ ჯანგირაშვილს, თუმცა მეორე ნაწილში აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორების სავალდებულო ნებაყოფლობითობაზე მსჯელობას არ მიიჩნევს საჭიროდ, რადგან ეს საუბრის სხვა ფორმატში გადაიყვანს მსჯელობასა და კამათს. მან საუბრის დასასრულს ისევ აღნიშნა, რომ რუკის არარსებობა თავისთავად არ ნიშნავს მიზნისა და შედეგის შეუსაბამობას. მისი თქმით, არსებობდა ბევრი ფაქტორი, რამაც კონკრეტულად განაპირობა მსგავსი დასკვნის დაწერა. პირველი რეკომენდაცია კი არ გვეუბნება მიზნისა და შედეგის პირდაპირპროპორციულ შეუსაბამობაზე ეს არის შეფასების შესაძლებლობის ინსტიტუციის მხრიდან დანახვაზე მიმართული.
საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა რომ კვლევის მეთოდები სადოქტორო პროგრამაზე შესასწავლი არ არის, მითუმეტეს სამართლის სფეროში. ამისთვის არსებობს ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. თუმცა, უნივერსიტეტის სადოქტორო დებულებები ამ სადოქტორო პროგრამებისა, მოითხოვს კვლევის მეთოდებს. მისი მხრიდან, ასევე დაისვა შეკითხვა იმის შესახებ, თუ კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები რა არსებით უნარს აძლევდა შესწავლის თვალსაზრისით დოქტორანტს სამართლის სფეროში და როგორ მონაწილეობდა კვლევითი პროექტები დისერტაციის დაცვის საკითხში?
მალხაზ ბეგიაშვილის თქმით, მას კვლევის პროცესი არ წარმოუდგენია იმ საფეხურების მიღმა, როგორებიცაა: პრობლემის დასმა, ჰიპოთეზა, კვლევის დიზაინი, გაზომვა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი და განზოგადება. მისი დოქტორანტი იურიდიულ მეთოდიკაზე ვერ დაკონკრეტდება თუ ზოგადად არ იცის სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მეთოდები, ამიტომ იგივე ეს პროქტის მართვა რაოდენობრივი და კვლევის მეთოდებისა, სწორედ ამას ემსახურება, ასევე დასძინა ისიც, რომ დოქტორანტი არჩევანს თავად აკეთებს, წინასწარ იცის ეს პროგრამა და მოსწონს. მან ასევე ისაუბრა კმაყოფილების კვლევაზე და აღნიშნა რომ არცერთ დოქტორანტს არ გაუპროტესტებია რომ პრობლემას ქმნის რომელიღაც საგანი. მისი აზრით, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები არგუმენტირებულად ისევ უნდა დარჩეს პროგრამაში თუმცა მეცნიერების ფილოსოფია არჩევითის სახით დარჩეს, რადგან ამას უნივერსიტეტი სემინარ-სპეციალობით ავსებს და ასევე ისაუბრა აკადემიურ წერაზეც, რომელიც იქნა დამატებული ამ სამეცნიერო ნაშრომისთვის. მისივე თქმით, ის გაეცნო სამართლის სხვა პროგრამებსაც, მაგალითად ამერიკულსა და ევროპულს და ასევე აღნიშნა რომ პირიქით, სხვა პროგრამებში 17 საგანიც კი ნახა სასწავლო კომპონენტში. მან დაამატა რომ პროგრამაში ჰქონდათ 6 სავალდებულო საგანი ხოლო 2 აქედან იყო არჩევითი. ის ფიქრობს, რომ არ არსებოს საგანი რომელიც სწავლის შედეგს არ ავითარებდეს და აღნიშნა ისიც, რომ მოისმენდა დასაბუთებულ საპირისპირო არგუმენტებს. მისი თქმით, მათი მიზანი არ იყო მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება, არამედ მკვლევარის მომზადება.
არჩილ ჯანგირაშვილის თქმით პროგრამის მიზეზი არის სწორედ ის, რომ მოამზადონ მკვლევარი და პედაგოგი. მათ ასევე სურთ, სტუდენტს განუვითარონ არამხოლოდ გრანტების წერის სპეციფიკის ცოდნა, არამედ პროექტების დამუშავების უნარი, რაც მომავალში მას როგორ მკვლევარს აუცილებლად დასჭირდება. ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტა, რომ პროექტების მართვასთან დაკავშირებით ინფორმაცია უნივერსიტეტში დეპარტამენტების დონეზე ერთი მაინც მინიმუმ 3 წლიანი კვლევითი პროექტია, სადაც სხვადასხვა მეცნიერები არიან გაერთიანებულები. მისი განმარტებით, თუ ვსაუბრობთ მომავალ სპეციალისტზე ფაქტია, რომ მან უნდა იცოდეს საგრანტო პროექტებში როგორ მიიღოს მონაწილეობა, ის მიიჩნევს, რომ კურსდამთავრებული უნდა გაიზაროდს როგორც თუნდაც ფაკულტეტის დეკანი,

ლაბორატორიის უფროსი და აქ უკვე მას სწორედ ზემოთ ხსენებული კვლევითი პროექტების მართვა და კვლევითი საქმიანობა ძალიან გამოადგება. მისი თქმით, ეს იყო ძირითადი მიზანი თუ რატომ არის ეს საგანი სადოქტორო პროგრამაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:06
დასრულების დრო: 19:38
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

რეკომენდაციები

- სასურველია, წარმოდგენილ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, საიდანაც გამოიკვეთებოდეა მათი ურთიერთმიმართება. აღნიშნული აუცილებელია პროგრამის მიზნების მიღწევადობისა და რეალისტურობის შესაფასებლად;
- სასურველია, წარმოდგენილ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგები ექვსდონოვან დაყოფას უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დონეთა კატეგორიაში დაყოფა ანდა პირიქით -სილაბუსის სწავლის შედეგის სამდონოვან დაყოფასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის სწავლის ექვსდონოვანი დაყოფა.
- სასურველია, განსაზღვრულ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და ასევე, პროგრამის სამიზნე ნიშნულის მიღწევის მონიტორინგის ვადები (გეგმა).
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ოთხდონოვანი ციკლის ცირკულარი თვითშეფასების ანგარიშში ყოფილიყო ახსნილი და წარმოდგენილი, რამდენადაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა სწორედ პროცესის დაგეგმვის, შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზისა და განვითარების კუთხით მიემართება;
- სასურველია, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი სუსტი მხარეებს აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები იქნეს წრმოდგენილი, მათ შორის, ასახულ იქნეს თვითშეფასების ანგარიშში.
- სასურველია, წარმოდგენილ იქნეს კურსდამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია პერიოდულად მოხდეს მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, მონაცემების ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამის განვითარების მიზნით. აღნიშნული შედარებითი ანალიზი და ანალიზის შედეგები, სასურველია, წარმოდგენილი ყოფილიყო.
- აუცილებელია, განხორციელდეს სილაბუსების გადახედვა, დაემატოს ან განახლდეს ლიტერატურა
- მიზანშეწონილია, „პროგრამის“ სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნას იმგვარად, რომ გარკვეულ საგნებთან მიმართებით სამართლოს სადოქტორო

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე „პროგრამამ“ განსაზღვროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევითობის მოდელი, რაც უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობის კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილებას და შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს, თავად განსაზღვრონ საკუთარი სასწავლო პროფილი.

მეორე საკითხის კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 31 მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით და 9 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ვინაიდან მომდევნო ორი საკითხი ეხებოდა ერთიდაიგივე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე წარმოდგენილ ანგარიშებს, უმჯობესი იყო ეს საკითები ერთიანად განეხილა საბჭოს. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმაც.

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N249, 17.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77ა, თბილისი, 0171, საქართველო
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N250, 17.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77ა, თბილისი, 0171, საქართველო
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

აცილება და თვითაცილების საკითხები?
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

ექსპერტმა გიორგი მახარობლიშვილმა მოხსენება დაიწყო რეკომენდაციების განხილვით:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათები, რომელთა მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა უნდა იყოს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის, კურსის ფარგლებში გამოსაყენებელ სწავლა-სწავლების მეთოდების რელევანტური. საბაკალავრო პროგრამაში მოცემული ყოველი სასწავლო კურსები 6 კრედიტიანია და მიზანშეწონილია რომ გადაიხედოს კრედიტების განაწილების საკითხი.

ექსპერტის თქმით, საკონტაქტო საათები და დატვირთვები გათვალისწინებულია სილაბუსებში.

- იმისათვის რომ შეფასება იყოს ობიექტური, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე, მიზანშეწონილია საბაკალავრო პროგრამის ყველა სილაბუსში მკაფიოდ და ამომწურავად გაიწეროს შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. მიზანშეწონილია რომ სტუდენტს წინასწარ ჰქონდეს ინფორმაცია შეფასების ფორმების, კრიტერიუმების და მეთოდების შესახებ. უნდა იყოს გამჭვირვალე და საჯარო-აღნიშნული რეკომენდაციის შეფასების მიზნით მათ შორის წარმოდგენილია სილაბუსები და სილაბუსის ნიმუშები საიდანაც, იკვეთება, რომ შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში გათვალისწინებულია კერძოდ გათვალისწინებულია შეფასების ფორმები კრიტერიუმები შესაბამისად

ექსპერტმა მეორე რეკომენდაცია შესრულებულად სცნო.

- საქართველოში მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტით აუცილებელია პროგრამას ახორციელებდნენ შესაბამისი პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, მიუხედავად საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ასისტენტთა სამართლებრივი ურთიერთობის იმგვარი მოწესრიგებისა, რომ მას უფლება ეძლევა სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლო კურსის ხელმძღვანელობისა დასაფიქრებელია ასისტენტის თანამდებობის იმ ფუნქციების შინაარსი, რომელიც კანონმდებელმა მოიაზრა,

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნულ რეკომენდაციას განმარტავენ, იმით რომ პროგრამის განხორციელებაში შესაბამისი ცოდნის მქონე პირის ჩართვა ხორციელდება კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით, რომელიც სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ასისტენტის ჩართულობას არ კრძალავს, ამასთან საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-2 მუხლის ი ქვეპუნქტი, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ასისტენტი არის აკადემიური თანამდებობა, ეს კი ნიშნავს იმას რომ თუ პირი აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მხრიდან პერსონალის შერჩევისათვის წინასწარ დადგენილ სტანდარტს, მაშინ მას უფლება აქვს მონაწილეობას ღებულობდეს პროგრამის განხორციელებაში (აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში)შესაბამისად რეკომენდაცია ექსპერტის აზრით შესრულებულად ითვლება.

- აუცილებელია უნივერსიტეტში მოქმედებდეს პერსონალის დატვირთვის სტანდარტთან შესაბამისი სქემა; შეფასება-უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, შედეგად 2020 წლის 10 იანვარს აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა.

ექსპერტის თქმით, რეკომენდაცია ასევე შესრულებულია.

- სასურველია უნივერსიტეტმა დახვეწოს უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების განსაზღრული კონცეფცია და პრაქტიკაში ახორციელებდეს მათი ანუ პერსონალის უნივერსიტეტის მხრიდან შეფასებას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა რომელიც 2019წლის 22 მაის არის დამტკიცებული მაგრამ დაწესებულებას არ წარმოუდგენია მისი მოქმედების რეალური მოქმედების შედეგები. სწორედ ამ მიზეზით, ბატონი

გიორგი მახარობლიშვილის განმარტებით, რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული

- სასურველია უნივერსიტეტის პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფა. სახელმწიფო ენაზე, განახლებული და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთიანი ფორმის რეზიუმეები დაეხმარება საქართველოს უნივერსიტეტს დააკვირდეს პერსონალის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს მას.

ექსპერტის მოსაზრებით, უნივერსიტეტის მხრიდან შეფასების მიზნით გადახედილ იქნა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც არსებულ ზოგად სტანდარტს აკმაყოფილებს. რაც შეეხება სივებს უნივერსიტეტს საქართველოს რეალობიდან გამომდინარე არ აქვს ერთნაირი ფორმით წარმოდგენილი, შესაბამისად რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.

- გარე შეფასებებზე რეაგირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქცია/წესის შემუშავება და დანერგვა.

ექსპერტის შეფასებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან და ანგარიშზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა რომ გარე ხარისხის შეფასების სეგმენტში უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლის ხარისხის მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის პარარელურადაც მოქმედებს ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, ამასთან ერთად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განმეორებითი აკრედიტაციისას მნიშვნელობანი მიღწევებისა და პროგრესის ნაწილში წარდგენილი იყო ამ რეკომენდაციების გათვალისწინება. მისი თქმით, რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა.

- სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის საგნებში შინაარსი მიესადაგოს სამაგისტრო სწავლების საფეხურს.

ექსპერტის მოსაზრებით მოცემული რეკომენდაცია შინაარსობრივად რთულად შესაფასებელია, თუმცა ჰიპოთეტურ დონეზე აღნიშნული რეკომენდაციის შინაარსი ძალიან რთულია. კერძოდ, თუ სამაგისტრო პროგრამის შინაარსი არ არის სწავლების საფეხურის შესაბამისი, მაშინ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლას ვერ უზრუნველყოფს, ეს კი პროგრამის ფუნქციონირებას მისი აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ რეკომენდაცია მთლიანად ეხება სამაგისტრო პროგრამას, ეს ნიშნავს იმას, რომ ის სრულად უნდა ყოფილიყო მოდიფიცირებული. სასწავლო კურსების შინაარსის ცვლილებების შედეგად, აღნიშნული განხორციელებული არ არის, თუმცა საექსპორტო შეფასება რეკომენდაციის ბუნდოვანებიდან გამომდინარე რთულად განსახორციელებელია. მისი თქმით, თუ საკითხს ფორმალურად მივუდგებით რეკომენდაცია შესრულებული არ არის ხოლო თუ საკითხს შენაარსობრივად გავაანალიზებთ, მაშინ რეკომენდაცია არსებით დაკონკრეტებას მოითხოვს იმ კონტექსტში, როდესაც პროგრამას აკრედიტაცია აქვს მინიჭებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:35
დასრულების დრო: 20:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ანგლისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ანგლისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N255, 18.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ანგლისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ენის დაუფლება 0231
12	კვალიფიკაციის კოდი	0231
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. N53
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

აცილება და თვითაცილების საკითხები?

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტმა ინგა დიაკონიძემ სიტყვა რეკომენდაციების წარმოდგენით დაიწყო, რომელსაც თან დაურთო მოკლე მიმოხილვა:

- პროგრამის სწავლების შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაცია-დაემატოს სწავლების მეთოდები,რომლებიც ორინეტირებულია კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპერსონალური უნარების განვითარებაზე.

უნივერსიტეტმა გაიზიარა ეს რეკომენდაცია და გაატარა შემდეგი ზომები, მან გამოყენებულ მეთოდებს დაამატა კრიტიკული აზროვნების და ინტერპერსონალურ უნარებზე ორიენტირებული მეთოდები, როგორებიცაა: დებატები, გონებრივი იერიში, შემთხვევების განხილვა და ანალიზი, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება .

- პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს სხვა ტიპის შეფასება, ეს ალბათ წარმოშობს აუდიტორიაში გამოყენებული მეთოდოლოგიების ცვლილების საჭიროებას, თუმცა სამაგისტრო პროგრამის დონეზე სტუდენტების ყველა უნარი უნდა შეფასდეს და ამისთვის საჭიროა სხვა გზების ძიებაც გარდა გამოცდებისა.

ეს რეკომენდაცია, ექსპერტის მოსაზრებით, გათვალისწინებულ იქნა და მოხერხდა სასწავლო კურსებში C1.1 C1.2 ინგლისური ენის შემდეგი ცვლილებებით განხილვა, მეორე შუალედურის შეფასება ჩანაცვლდა ყოველკვირეული ჯგუფური დებატებით, რომლითაც შეფასდება კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად სტუდენტების მიერ გამოვლენილი კრიტიკული აზროვნების უნარი და ინტერპესონალური უნარების ფლობის დონე. ქვიზი შეაფასებს წინა კვირის სასწავლო მასალით გათვალისწინებულ ცოდნას და უნარებს, ასევე მისი თქმით, მოამზადებენ ერთ ინდივიდუალურ პრეზენტაციას. შუალედურ და ფინალურ გამოცდაზე შეფასდება სტუდენტის ყველა უნარი: მოსმენა, მეტყველება, წერა, კითხვა, გრამატიკა და ლექსიკა. აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად, სასწავლო კურსის კვირეული საკონტაქტო საათების რაოდენობა სამი საათიდან გაიზარდა ოთხ საათამდე. ცვლილებები შეეხო აგრეთვე სასწავლო კურსებს, დაემატა: შექსპირი და ინგლისური რენესანი, ჯონ ნიუტონი და მისი ეპოქა, ასევე ჩოსელი. ყოველკვირეულად სტუდენტები წერილობით წარმოადგენენ განვლილი თემის კრიტიკულ ანალიზს, რომლის საშუალებითაც შეფასდება მათი კრიტიკული აზროვნების უნარი. ასევე, ყოველკვირეულად სტუდენტები ჯგუფურად განიხილავენ საკუთარ წერილობით ნაშრომებს, რომლის დროსაც შეფასდება მათი ინტერპერსონალური უნარები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
შესვენების დაწყება: 21:20
დასრულება: 21:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ანგლისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

მეხუთე საკითხის კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} საფუძველზე სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ანგლისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ